

## გადანყვებითობა

N გ-23-8/316  
06/07/2023

316-გ-23-1-4-202307061423



### მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების გამოცხადების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კომისიის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს - ამოწურვადი რესურსების მართვა და მათი ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა, ინოვაციური ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის უზრუნველსაყოფად და კონკურენტუნარიანი გარემოს განვითარებისათვის რადიოსიხშირული სპექტრის ოპტიმალური განაწილება და ეფექტიანი გადანაწილება, რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოპოვების გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული პირობებისა და წესების დადგენა, ამოწურვადი რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა/სარგებლობის უფლების მინიჭება და ლიცენზიის/რესურსით სარგებლობის უფლების გაუქმება.

კომისია აღნიშნავს, რომ 2019 წლის დეკემბერში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ შემუშავდა და გამოქვეყნდა „5G ქსელისა და მომსახურებების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგია“. აღნიშნული დოკუმენტით კომისია მიზნად ისახავდა უზრუნველყოფა მობილური ფართოზოლოვანი მომსახურებისთვის გამოყოფილი სიხშირული რესურსის ხელმისაწვდომობა, რომელიც დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს ქვეყანაში განავითარონ და დანერგონ ახალი თაობის (5G) ქსელი და მომსახურებები. სიხშირული რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით კომისიამ გასულ პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა. კომისიამ გამოაცხადა ტენდერი, ზემოაღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში 5G მომსახურებისთვის გამოყოფილი სიხშირეების საფასურის დათვლის მიზნით. აღნიშნულ ტენდერში გაიმარჯვა კომპანია ერნსტ & იანგმა (პოლონეთის ოფისის წარმომადგენლობა „ერნსტ ენდ იანგ ბიზნეს ედვაიზორი სპოლკა კომანდიტოვა“), რომლის ექსპერტების დახმარებით დაანგარიშდა 5G მომსახურებისთვის განკუთვნილი სიხშირეების საწყისი საფასური ბიზნესმოდელირების მეთოდოლოგიით. წარმოდგენილი დოკუმენტის და მასში არსებული შეფასების გათვალისწინებით კომისიამ დაიწყო საჯარო კონსულტაციები მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების გამოცხადების მიზნით.

კომისია აქვე აღნიშნავს, რომ საჯარო კონსულტაციების პერიოდში 2023 წლის 5 მაისს კომისიას მიმართა შპს „სელფ მობაილმა“ (წერილის კომისიაში რეგისტრაციის №მ-23-7/1599) და მოითხოვა აუქციონის გამოცხადება მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო

მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად, შემდეგ სიხშირული რესურსზე: 10 მჰც (2X5 მჰც), 1770-1775მჰც და 1865-1870მჰც.

გამომდინარე იქიდან, რომ დღეის მდგომარეობით მოთხოვნილი სიხშირული რესურსიც თავისუფალია, კომისია მიზნად ისახავს აუქციონების ფარგლებში ერთიანად გახადოს ხელმისაწვდომი 700 მჰც, 800 მჰც, 1800 მჰც, 3400 – 3700 მჰც და 2600 მჰც სიხშირულ ზოლში არსებული სიხშირული რესურსი შემდეგი მოცულობებით:

სიხშირული დიაპაზონი, მჰც	სპექტრის სიდიდე, მჰც
800	20
700	60
3400-3700	300
2600	190
1800	10

ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილი გათვლების გათვალისწინებით, თითოეულ სიხშირულ დიაპაზონში 1 მჰც სიხშირული რესურსის საბაზრო ღირებულება შეადგენს:

სიხშირული დიაპაზონი, მჰც	სპექტრის ღირებულება (ათასი ლარი) /1 მჰც
800	741
700	363
3400-3700	52
2600	27
1800	165

2020 წლის ნოემბერში საკონსულტაციო რეჟიმის ფარგლებში კომისიამ გამოაქვეყნა დოკუმენტი 5G პირობებისა და ვალდებულებების შესახებ. 2022 წელს კომისია განაგრძობდა მუშაობს სალიცენზიო პირობებისა და ვალდებულებების მომზადების მიზნით. შემუშავებული დოკუმენტების სამუშაო ვერსიები გადაიგზავნა ოპერატორებთან მოსაზრებების წარმოსადგენად.

კომისიას მიაჩნია, რომ 5G ტექნოლოგიისა და მომსახურებების განვითარება მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ციფრული ეკონომიკისა და სხვადასხვა დარგების განვითარებაში. კომპანიებთან გაგზავნილი სამუშაო ვერსიების და 5G პირობებისა და ვალდებულებების შესახებ საკონსულტაციო რეჟიმის ფარგლებში გამოქვეყნებული დოკუმენტის თანახმად ასევე ლიცენზიის მფლობელების მომიჯნავე (თანმიმდევრულ) ბლოკებზე დაშვების უზრუნველყოფის მიზნით, კომისიას მიაჩნია რომ აუქციონები უნდა გამოცხადდეს:

1. ოთხ კომბინირებულ აბსტრაქტულ ლოტზე. ოთხივე კომბინირებული აბსტრაქტული ლოტი შედგება ორი სხვადასხვა სიხშირული სპექტრის დიაპაზონისგან:

700 მჰც დიაპაზონი 2X5 მჰც სიხშირული ზოლი;

3400-3700 მჰც დიაპაზონი 50 მჰც სიხშირული ზოლი;

2. ორ ცალკემდგომ აბსტრაქტულ ლოტზე 700 მჰც სიხშირულ ზოლში, თითოეული 10 მჰც (2X5 მჰც) სიხშირული რესურსით, Uplink 703–733 მჰც და Downlink 758–788 მჰც რესურსის ფარგლებში;

3. ორ ცალკემდგომ აბსტრაქტულ ლოტზე 3400 – 3700 მჰც სიხშირულ ზოლში, თითოეული 50 მჰც სიხშირული რესურსი 3400-3700 მჰც რესურსის ფარგლებში;

4. შვიდ ცალკემდგომ აბსტრაქტულ ლოტზე 2600 მჰც FDD სიხშირულ ზოლში, თითოეული 20 მჰც (2X10 მჰც) სიხშირული რესურსით;

5. ოთხ ცალკემდგომ აბსტრაქტულ ლოტზე 2600 მჰც TDD სიხშირულ ზოლში, თითოეული 10 მჰც სიხშირული რესურსით;

6. ორ ცალკემდგომ კონკრეტულ ლოტზე 2600 მჰც TDD სიხშირულ ზოლში:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 5 მჰც 2570-2575 მჰც სიხშირული ზოლი;

ბ) რადიოსიხშირული სპექტრი: 5 მჰც 2615-2620 მჰც სიხშირული ზოლი;

7. ორი ცალკემდგომ კონკრეტულ ლოტზე 800 მჰც სიხშირულ ზოლში:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 10 მჰც (2X5 მჰც) სიხშირული რესურსი, 791-796 მჰც (*Up-link*) და 832-837 მჰც (*Down-link*) რესურსის ფარგლებში;

ბ) რადიოსიხშირული სპექტრი: 10 მჰც (2X5 მჰც) სიხშირული რესურსი, 816-821 მჰც (*Up-link*) და 857-862 მჰც (*Down-link*) რესურსის ფარგლებში;

8. ერთ ცალკემდგომ კონკრეტულ ლოტზე 1800 მჰც სიხშირულ ზოლში:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 10 მჰც (2X5 მჰც) სიხშირული რესურსი, 1770-1775 მჰც (*Up-link*) და 1865-1870 მჰც (*Down-link*) რესურსის ფარგლებში.

ლიცენზიების დაფარვის ძირითადი ვალდებულებების განსაზღვრისას კომისიამ გაითვალისწინა მრავალი ფაქტორი, მათ შორის კომერციული მიზნით დეველოპა და 7 წლიან პერიოდზე გადაანაწილა 10,000-ზე მეტი მოსახლეობის მქონე დასახლებული პუნქტების დაფარვა. გარდა დასახლებული პუნქტების დაფარვისა კომისიას მიაჩნია, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია ტურისტული ზონების, პორტების, აეროპორტების, საგზაო მაგისტრალის და რკინიგზის მაგისტრალის დაფარვა 5G სერვისებით. რკინიგზის მაგისტრალზე დანერგილი 5G სერვისები უკვე ფართოდ გამოიყენება როგორც სატვირთო გადაზიდვებში ასევე, მგზავრთა გადაყვანის კუთხით ევროპის ფარგლებში. ამასთან, 5G ტექნოლოგიის ფარგლებში შეთავაზებული IoT (საგნების ინტერნეტის) და M2M მომსახურებებისთვის მნიშვნელოვანია საგზაო მაგისტრალის დაფარვა 5G სერვისებით.

ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება საერთაშორისო კოორდინაციის პროცესის სრულფასოვანი წარმართვის მიზნით, რომელიც ხორციელდება ECC Recommendation (15)01-ის შესაბამისად, მიაწოდოს კომისიას დეტალური ინფორმაცია იმ სადგურების/გადამცემების შესახებ, რომელთა განთავსება და ექსპლუატაცია განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრიდან 30 კმ-ზე ნაკლებ მანძილზე;

ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებული იქნება რეგულარულად, წელიწადში მინიმუმ ორჯერ, წარმოადგინოს ანგარიში ლიცენზიის პირობებით განსაზღვრული მობილური უსადენო დაშვების ქსელის განვითარების შესახებ, რომელიც უნდა იყოს საჯარო და ქვეყნდებოდეს კომპანიის ვებ-გვერდზე ტექსტური და გრაფიკული, კერძოდ გეოგრაფიულ რუკზე დატანილი, სახით კომისიის მოთხოვნილი სიზუსტის და პარამეტრების გათვალისწინებით. ოპერატორის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მინიმუმ:

- მომსახურებით დაფარვის ზონის, რომელიც გამოქვეყნების მომენტისთვის აკმაყოფილებს ვალდებულებით განსაზღვრულ ხარისხს (.SHP ფაილის ფორმატში);
- დასახლებული პუნქტების ჩამონათვალს, სადაც ლიცენზიით განსაზღვრული მომსახურება აკმაყოფილებს ვალდებულებით განსაზღვრულ ხარისხს (ტექსტურ ფორმატში);

გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტის კონტროლის მიზნით კომისია იტოვებს უფლებას აწარმოოს მომსახურებით დაფარვის ზონის(ების) რეგულარული მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს ინფორმაციის დაზუსტება ლიცენზიის მფლობელისგან.

ლიცენზიის მფლობელის მიერ მომსახურების დანერგვის პროცესში, კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს დეტალური ინფორმაცია ექსპლუატაციაში უკვე გაშვებული სადგურების შესახებ.

კომისიას, ასევე, შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია მშენებარე და დაგეგმილი საბაზო სადგურების ადგილმდებარეობის და ტექნიკური პარამეტრების შესახებ და მოდელირებით მიღებული

ელექტრომაგნიტური ველით დაფარვის დეტალური რუკა გეოგრაფიული (.SHP) ფაილის ფორმატში, დაფარვის ვალდებულების შესრულების მიზნით გამოყენებული ყველა სიხშირისთვის. ამასთან, ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნის შემთხვევაში, კომისია უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალურობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით და არ გაასაჯაროებს აღნიშნულ რუკას და ინფორმაციას მშენებარე და დაგეგმილი სადგურების შესახებ.

კომისია აღნიშნავს რომ კომბინირებული ლოტის ლიცენზიის მფლობელმა პრაქტიკული საქმიანობა უნდა დაიწყოს ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 6 თვეში. (პრაქტიკული საქმიანობის დაწყებად ითვლება ერთი ან მეტი საბაზო სადგურის ამოქმედება ლიცენზიით გაცემული რადიოსიხშირული დიაპაზონების ფარგლებში და მომსახურების მიწოდება ერთი ან მეტი კომერციული აბონენტისათვის). ლიცენზიით განსაზღვრული დაფარვის ვალდებულებების შემოწმება მოხდება თანდართული „მომსახურების ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგიით“, ხოლო წლებით განსაზღვრული დაფარვის ვალდებულების შესრულების ვადა განისაზღვრება ლიცენზიის მიღებიდან შესაბამისი წლის 31 დეკემბრამდე პერიოდით. ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილი იქნება დააკმაყოფილოს მომსახურების დაფარვის და ხარისხის ვალდებულებები როგორც წინამდებარე აუქციონით მოპოვებული 700 ან 3400-3700 მჰც სიხშირული ზოლებით, ასევე მათი სიხშირული აგრეგირებით მის მფლობელობაში არსებული სხვა სიხშირულ რესურსთან, მომსახურების ყოველი ინდივიდუალური მომხმარებლისთვის მიწოდებისას; იმისთვის, რომ მოცემული ვადისთვის მომსახურებით დაფარვის ვალდებულება ჩაითვალოს შესრულებულად, მოთხოვნილი ხარისხის მომსახურება უნდა იყოს უზრუნველყოფილი მოცემული ვადით განსაზღვრულ მომსახურებით დაფარვის ყველა ზონისთვის. მოცემული ვალდებულებები ძალაშია ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

კომისია აღნიშნავს, რომ 700, 3400-3700, 2600 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში გაცემული ლიცენზიების განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში აგებული ქსელები უნდა აკმაყოფილებდეს 5G მომსახურებების მოთხოვნებს, როგორც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 იანვრის №60 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიასა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმაში“. ქსელის შესაბამისი ფუნქციონალური კომპონენტები უნდა იყოს აგებული და დროის ნებისმიერ მომენტში ფუნქციონირებდეს მხოლოდ იმ ტექნიკური გადაწყვეტების საფუძველზე, რომლებიც ქსელის აგების არქიტექტურის გათვალისწინებით აკმაყოფილებს ITU-R M.2083 და ITU-R M.2410-0 ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს მომსახურებების მიმართ ან აკმაყოფილებს ITU-ს მიერ ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს შემდეგი თაობის IMT ტექნოლოგიების მიმართ. ქსელის აგებისას და ფუნქციონირებისას ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული მხოლოდ ის (ტექნიკური) გადაწყვეტები, რომლებსაც აქვს საშუალება ჰქონდეს არანაკლებ 100 მჰც (3400 -3700 მჰც დიაპაზონისთვის) და არანაკლებ 30 მჰც-მდე სიგანის მზიდი სიხშირის ზოლი აგრეგაციის გარეშე (700 და 2600 დიაპაზონებისთვის).

გლობალური პანდემიის თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, 5G ქსელის განვითარება საკმაოდ დაგვიანდა საქართველოში, ევროპის ქვეყნებთან შედარებით. ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების ფონზე მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამაც აუწყოს ფეხი თანამედროვე ტენდენციებს და ხელი შეუწყოს ახალი თაობის ტექნოლოგიებისა და მომსახურებების სწრაფად და ეფექტურად დანერგვას. გამოცდილება აჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში ინოვაციური ტექნოლოგიების და მომსახურებების დანერგვაში მნიშვნელოვან როლს პატარა კომპანიები თამაშობენ, რომლებიც დინამიურობით და მოქნილობით ხასიათდებიან. ფაქტია ისიც, რომ სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებების გამო, მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორებმა საქართველოში დღემდე ფეხი ვერ მოიკიდეს, თუ არ ჩავთვლით ერთეულ საგამონაკლისო შემთხვევას. კომისიას მიაჩნია, რომ ახალი თაობის ტექნოლოგიებისა და მომსახურების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა საქართველოშიც შეუძლიათ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორებს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორები, ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გამო, საქართველოში არ არიან ფართოდ განვითარებულები, მათ არ აქვთ შესაბამისი ფინანსური რესურსი, რომ დამოუკიდებლად განავითარონ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი, თუმცა ქსელის მფლობელი ოპერატორების მიერ საკუთარ ქსელზე დაშვების შემთხვევაში, მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორები შეძლებენ, რომ მათ ხელთა არსებული რესურსი და ცოდნა გამოიყენონ ქვეყანაში ახალი თაობის ტექნოლოგიების და მომსახურებების განსავითარებლად. მეორეს მხრივ ასეთი ოპერატორებისთვის საკუთარ ქსელზე დაშვება დამატებით შემოსავალს მოუტანს ქსელის მფლობელ ოპერატორებსაც. სწორედ აქედან

გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ კომისიამაც, როგორც დარგის მარეგულირებელმა ორგანომ ხელი შეუწყო ამ პროცესს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიას მიაჩნია რომ 700, 1800, 3400-3700, 2600 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში რადიოსიხშირული სპექტრის აუქციონის ყველა იმ ლოტის გამარჯვებულს რომელიც ითვალისწინებს MVNO დაშვების ვალდებულებას მიუხედავად იმისა არსებული ქსელის ოპერატორი იქნება თუ ბაზარზე ახალი შემომსვლელი, უნდა დაეკისროს ვალდებულება უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ მომსახურებებზე საბითუმო დაშვება მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორებისთვის. ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება აწარმოოს მოლაპარაკებები შესაბამის ქსელზე დაშვების ყველა მსურველ MVNO ოპერატორთან, სამართლიანი და არადისკრიმინაციული პირობებით (მიუხედავად იმისა MVNO იქნება ახალი შემომსვლელი, თუ ბაზარზე უკვე არსებული მოთამაშე);

შესაბამის ქსელზე საბითუმო დაშვების შეთანხმების ფარგლები და პირობები არ უნდა იწვევდეს დისკრიმინაციულ შედეგებს მობილური ვირტუალური მომსახურების მიწოდებისთვის: აღნიშნული დაშვება გულისხმობს, რომ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორს ეძლეოდა შესაძლებლობა საკუთარ მომხმარებლებს მიაწოდოს ლიცენზიის მფლობელის სერვისის ანალოგიური მომსახურება როგორც მიწოდების ხარისხით, მოცულობითა და სიჩქარით, ისე გეოგრაფიული დაფარვის არეალით; ვალდებულება უნდა გავრცელდეს მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების ყველა შესაძლო ალტერნატიული მოდელის მიმართ

700, 1800, 3400-3700, 2600 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში ლიცენზიის მფლობელმა ამ ლიცენზიის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს დაშვების მსურველთან მოლაპარაკების შეუფერხებლად წარმართვა და არ შეუქმნას დაშვების მსურველს ადმინისტრაციული, სამართლებრივი, ტექნიკური ბარიერები, რაც იმას ნიშნავს, რომ არ უნდა წამოაყენოს ისეთი პირობები, რომელთა შესრულებაც აუცილებელი არ არის შეთანხმების დადებისათვის და სატელეკომუნიკაციო სერვისის მიწოდებისთვის;

ლიცენზიის მფლობელმა უნდა გამოაქვეყნოს მოწვევის ოფერტა (რომელიც უნდა შეიცავდეს დაშვების პირობებს, გარდა ფასისა) მის ხელთ არსებულ, აუქციონზე შეძენილ სიხშირის სპექტრში საქმიანობის დაწყებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა.

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორთან დაშვების შესახებ ხელშეკრულება გააფორმოს მსურველი პირის მომართვიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში (თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან), ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამის შესახებ აცნობოს კომისიას. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება ექნებათ მომართონ კომისიას, რომელიც დავას განიხილავს მხარეთა მორიგების სულისკვეთებით.

ამასთან კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების საბითუმო დაშვების ვალდებულება უნდა გავრცელდეს 2030 წლის 1 იანვრამდე.

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება შეიძლება შეეზღუდოს პირს, რომელიც აუქციონის გამოცხადების მომენტისათვის დამოუკიდებლად ან/და მასთან ურთიერთდამოკიდებულ (ავილირებულ) პირებთან ერთად არის ან აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში გახდება რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტულ მონაკვეთზე (რადიოსიხშირულ დიაპაზონზე) ან მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთების (რადიოსიხშირული დიაპაზონების) ერთობლიობაზე აუქციონის გამოცხადების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალურ ოდენობაზე მეტის მფლობელი.

ზემოაღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია, რომ 700 მჰც, 800 მჰც სიხშირეებს უკეთესად გავრცელების თვისებები აქვთ, ხოლო 3400-3700 მჰც და 2600 მჰც დიაპაზონი სიხშირეების უფრო ფართო ზოლს უზრუნველყოფს მაღალი სიმძლავრის საბაზო სადგურების განვითარებისთვის, რომლებიც შეძლებენ ტრაფიკის გატარებას მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში. მაღალი გამტარობა, რომელსაც 3400-3700 მჰც და 2600 მჰც სიხშირული ზოლები გვთავაზობს, აუცილებელია 5G ტექნოლოგიით უზრუნველყოფილი ახალი ფუნქციონალური შესაძლებლობების სრულად გამოყენებისთვის. შესაბამისად, ხარისხიანი და სრულყოფილი 5G

მომსახურებების მისაწოდებლად მობილური მომსახურების მიმწოდებელი კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია როგორც დაბალი, 1 გჰც-მდე დიაპაზონში არსებული სიხშირული რესურსი, ასევე, ზედა 3400-3700 მჰც დიაპაზონში არსებული სიხშირული რესურსი. ასევე, გასათვალისწინებელია აღნიშნული სიხშირული რესურსის ამოწურვადი ხასიათი და ის კონკურენტული უპირატესობა და კონკურენციის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები რაც გამოწვეული იქნება ისეთი მდგომარეობით, თუ რომელიმე ოპერატორის სარგებლობაში იქნება აღნიშნული რესურსის მნიშვნელოვნად დიდი ნაწილი. ამასთან 700 მჰც, 800 მჰც დიაპაზონების ტექნიკური კუთხით მსგავსი მახასიათებლების ქონა მიზანშეწონილს ხდის რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა (ე.წ spectrum cap) დადგინდეს აღნიშნული რადიოსიხშირული დიაპაზონებისთვის. კომისია ასევე აღნიშნავს, რომ ვინაიდან მაღალკონცენტრირებულ, უსადენო/მობილურ ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის მისაღებ მინიმალურ დონეს წარმოადგენს მინიმუმ სამი ოპერატორისათვის კონკურენტული სამოქმედო პირობების შექმნა, 1800 მჰც სიხშირული რესურსის აუქციონის ფარგლებში, უნდა განისაზღვროს ისეთი სახის დასაშვები რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც საშუალებას მისცემს მინიმუმ სამ ქსელურ ოპერატორს, კონკურენტული უსადენო/მობილური მომსახურება შესთავაზოს აბონენტებს. ვინაიდან 1800მჰც დიაპაზონში ხელმისაწვდომია 150 მჰც-იანი რესურსი, აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება უნდა შეეზღუდოს პირს, რომელიც აუქციონის გამოცხადების მომენტისათვის, დამოუკიდებლად ან/და მასთან ურთიერთდამოკიდებულ (ავილირებულ) პირებთან ერთად არის ან აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში გახდება 1800 მჰც დიაპაზონში 50 მჰც რადიოსიხშირულ რესურსზე მეტის მფლობელი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კომისია წინამდებარე აუქციონების ფარგლებში ადგენს შემდეგ მაქსიმალურ ოდენობას:

- ა) 700 მჰც სიხშირულ დიაპაზონში - 20 მჰც;
- ბ) 3400-3700 მჰც სიხშირული დიაპაზონის ფარგლებში - 100 მჰც;
- გ) 800 მჰც სიხშირულ დიაპაზონში - 20 მჰც;
- დ) 2600 მჰც FDD და TDD სიხშირულ დიაპაზონში ერთობლივად - 60 მჰც (აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება 2600 მჰც TDD სიხშირულ ზოლში 5მჰც-იან ლოტებზე);
- ე) 1800 მჰც სიხშირულ დიაპაზონში - 50 მჰც.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ ვინაიდან ცალკემდგომ ლოტებზე არ განიხილება დაფარვის ვალდებულებების გავრცელება და აღნიშნულ ლოტებზე გავრცელება მხოლოდ MVNO ოპერატორის ქსელზე დაშვების ვალდებულება, მიზანშეწონილია, რომ ცალკემდგომ ლოტებზე გამოცხადებულ აუქციონებში მონაწილეობის უფლება მიეცეს მხოლოდ იმ პირს, რომელიც გამოცხადდება გამარჯვებულად კომბინირებულ ლოტებზე გამოცხადებული აუქციონებიდან ნებისმიერ ერთ აუქციონში. ასევე მიზანშეწონილია, 2600 მჰც TDD სიხშირულ ზოლში ორ ცალკემდგომ კონკრეტულ ლოტზე გამოცხადებულ აუქციონებში მონაწილეობის უფლება ჰქონდეს მხოლოდ იმ პირს, რომელიც გამოცხადდება გამარჯვებულად 2600 მჰც FDD სიხშირულ ზოლში აბსტრაქტულ ლოტებზე გამოცხადებული შვიდი აუქციონიდან ნებისმიერ ერთ აუქციონში და ამასთან ერთად 2600 მჰც TDD სიხშირულ ზოლში აბსტრაქტულ ლოტებზე გამოცხადებული ოთხი აუქციონიდან ნებისმიერ ერთ აუქციონში. ხელშემშლელის არიდების მიზნით მოცემულ ლოტში გამარჯვებულ კომპანიას გადაეცემა ცალკე მდგომი ფაქტობრივი ლოტის მიმდებარე FDD და TDD ლოტები.

კომისია აღნიშნავს, რომ „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ კომისიის მიერ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებისა და მიწისზედა სისტემებისათვის ჰარმონიზებულ რადიოსიხშირულ დიაპაზონში სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური უნდა დადგინდეს შესაბამისი რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთისათვის ბენჩმარკინგის ან/და ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიებით შეფასებული 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულების საფუძველზე შემდეგი ფორმულით:  $P=$

Pn\*C-B სადაც: P - რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა ლარებში; Pn - რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთისათვის ბენჩმარკინგის ან/და ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიებით შეფასებული 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულება; C - ერთი ლიცენზიის ფარგლებში სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული სპექტრის ერთეულთა(მჰცების) ოდენობა; B - სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული სპექტრის სავარაუდო ღირებულების (Pn\*C) კომისიის მიერ, აუქციონის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული 5%-დან 20%-მდე ფასდაკლება, რომელიც დგინდება ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და სალიცენზიო ვალდებულებების გათვალისწინებით.

ამავე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტის თანახმად ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში ეფექტიანი ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობის წახალისების მიზნით, კომისია უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული სპექტრის სავარაუდო ღირებულებაზე დაადგინოს დამატებითი ფასდაკლება, რომელიც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფასდაკლების ჩათვლით ჯამში არ უნდა აღემატებოდეს სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული სპექტრის სავარაუდო ღირებულების 80%-ს. შესაბამისად, ყოველი კონკრეტული აუქციონის გამოცხადებისას კომისიას შესაძლებლობა აქვს კონკრეტული ლიცენზიისათვის განსაზღვრული სპეციფიკური მოთხოვნებისა და სალიცენზიო ვალდებულებების გათვალისწინებით ასევე ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში ეფექტიანი ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობის წახალისების მიზნით განსაზღვროს 5%-დან 80%-მდე ფასდაკლება და ისე გაიანგარიშოს შესაბამისი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ კომპანია ერნსტ & იანგის (პოლონეთის ოფისის წარმომადგენლობა „ერნსტ ენდ იანგ ბიზნეს ედვაიზორი სპოლკა კომანდიტოვა“), ექსპერტების დახმარებით თითოეულ სიხშირულ დიაპაზონში ბიზნესმოდელირების მეთოდოლოგიით დაანგარიშებული 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულება შეადგენს:

- ა) 800 მჰც დიაპაზონში 1 მჰც-ის სავარაუდო საბაზრო ღირებულება - 741 000 (შვიდას ორმოცდაერთი ათასი) ლარი.
- ბ) 700 მჰც დიაპაზონში 1 მჰც-ის სავარაუდო საბაზრო ღირებულება - 363 000 (სამას სამოცდასამი ათასი) ლარი;
- გ) 3400-3700 მჰც დიაპაზონში 1 მჰც-ის სავარაუდო საბაზრო ღირებულება - 52 000 (ორმოცდათორმეტი ათასი) ლარი;
- დ) 2600 მჰც დიაპაზონში 1 მჰც-ის სავარაუდო საბაზრო ღირებულება - 27 000 (ოცდაშვიდი ათასი) ლარი.
- ე) 1800 დიაპაზონში 1 მჰც-ის სავარაუდო საბაზრო ღირებულება - 165 000 (ას სამოცდახუთი ათასი) ლარი;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიას მიაჩნია, რომ აუქციონის ფარგლებში ცალკემდგომი ლოტებისთვის (გარდა 800 მჰც სიხშირულ ზოლში ხელმისაწვდომი ლოტებისა) რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური უნდა გაანგარიშდეს კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფორმულის შესაბამისად, ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიით შეფასებული 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულების საფუძველზე, სადაც რადიოსიხშირული რესურსის სავარაუდო ღირებულების პროცენტული ფასდაკლება განსაზღვრული იქნება მაქსიმალური 20% - ის ოდენობით სალიცენზიო MVNO დაშვების ვალდებულების გათვალისწინებით.

აუქციონის ფარგლებში ერთი კომბინირებული ლოტისთვის, რომელსაც გააჩნია დაფარვის ძირითადი ვალდებულებები, რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური უნდა გაანგარიშდეს კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფორმულის შესაბამისად, ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიით

შეფასებული 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულების საფუძველზე, სადაც რადიოსიხშირული რესურსის სავარაუდო ღირებულების პროცენტული ფასდაკლება განსაზღვრული იქნება მაქსიმალური 20% - ის ოდენობით სალიცენზიო MVNO დაშვების ვალდებულების გათვალისწინებით, ხოლო მე-2, მე-3 და მე-4 ლოტებისთვის რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური უნდა გაანგარიშდეს კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფორმულის შესაბამისად, ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიით შეფასებული 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულების საფუძველზე, სადაც რადიოსიხშირული რესურსის სავარაუდო ღირებულების პროცენტული ფასდაკლება მე-9 მუხლის პირველი და 1<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად განსაზღვრული იქნება 60% - მდე ოდენობით სალიცენზიო MVNO დაშვების ვალდებულებისა და გაზრდილი დაფარვის ვალდებულებების (გაზრდილ დაფარვის ვალდებულებებში იგულისხმება დაფარვის ძირითად ვალდებულებებს დამატებული იმ დასახლებული პუნქტების დაფარვა სადაც მოსახლეობის რაოდენობა  $\leq 10\ 000$ -ზე) შესასრულებლად ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში ეფექტიანი ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობის წახალისების გათვალისწინებით. *(აღნიშნული დამატებითი დასახლებული პუნქტები თითოეული ლოტისთვის იხილეთ დანართ 3-ში „დაფარვის ვალდებულებებში მითითებული დასახლებული პუნქტების სია“)*. ასევე აღსანიშნავია, რომ დამატებითი დასახლებული პუნქტების დაფარვის ღირებულების განსაზღვრა განხორციელდა შემდეგნაირად: ოპერატორების არსებული საბაზო სადგურების მდებარეობის ანალიზის საფუძველზე შეფასდა 5G საბაზო სადგურების რაოდენობა. კომპანია ერნსტ & იანგის გაკეთებული ბიზნეს მოდელის მიხედვით დაფარვის ვალდებულებით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში 5G საბაზო სადგურების განთავსება უკვე არსებულ მობილური სადგურებთან ერთად იძლევა ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას. თითოეული საბაზო სადგურის გამართვის ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულია 5G პროექტზე მომუშავე საკონსულტაციო კომპანიის კომპანია ერნსტ & იანგის მიერ მოწოდებული აპარატურის ფასები ინფლაციის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნული მეთოდით დათვლილმა რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისმა საფასურმა:

- ა) პირველი კომბინირებული ლოტისთვის შეადგინა - 4 984 000 ლარი;
- ბ) მეორე კომბინირებული ლოტისთვის შეადგინა - 2 530 900 ლარი;
- გ) მესამე კომბინირებული ლოტისთვის შეადგინა - 2 593 800 ლარი;
- დ) მეოთხე კომბინირებული ლოტისთვის შეადგინა - 2 656 700 ლარი;
- ე) 700 მჰც სიხშირულ ზოლში ცალკემდგომი თითოეული ლოტისთვის შეადგინა - 2 904 000 ლარი;
- ვ) 3400 – 3700 მჰც სიხშირულ ზოლში ცალკემდგომი თითოეული ლოტისთვის შეადგინა - 2 080 000 ლარი;
- ზ) 800 მჰც სიხშირულ ზოლში ცალკემდგომი თითოეული ლოტისთვის შეადგინა - 7 410 000 ლარი;
- თ) 2600 მჰც FDD სიხშირულ ზოლში ცალკემდგომი თითოეული ლოტისთვის შეადგინა - 432 000 ლარი;
- ი) 2600 მჰც TDD სიხშირულ ზოლში ოთხი ცალკემდგომი ლოტიდან თითოეულისთვის შეადგინა - 216 000 ლარი;
- კ) 2600 მჰც TDD სიხშირულ ზოლში ორი ცალკემდგომი ლოტიდან თითოეულისთვის შეადგინა - 108 000 ლარი.
- ლ) 1800 მჰც სიხშირული ლოტისთვის შეადგინა - 1 320 000 ლარი.

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად - რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიას კომისია გასცემს აუქციონის ან კონკურსის წესით, ამ კანონის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონებისა და კომისიის დადგენილებით დამტკიცებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების შესაბამისად. ასევე ამავე კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად - რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გასაცემად აუქციონის გამართვის შესახებ კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც სულ ცოტა 1 თვით ადრე ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და განთავსდება ინტერნეტის ქსელში კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კონკრეტული სახელმწიფო რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის წარმოების დაწყების საფუძველია როგორც ლიცენზიის მაძიებლის განცხადება, ისე ლიცენზიის გამცემის გადაწყვეტილება. „ეროვნული მარეგულირებელი



ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად - ეროვნული მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი წესით მოაწიოს საჯარო განხილვები სალიცენზიო და სატარიფო უფლებამოსილებების განხორციელების თაობაზე. ასეთი პროცედურის გარეშე გადაწყვეტილების მიღება იწვევს აღნიშნული გადაწყვეტილების ბათილობას. ასევე „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო კონსულტაციების მარეგულირებელი წესების“ მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომისია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებამდე (გამოცემამდე) აღნიშნული წესის შესაბამისად საჯარო კონსულტაციებს გამართავს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე

მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წესით რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გასაცემად აუქციონის გამართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას.

შესაბამისად 2023 წლის 6 აპრილის კომისიის №გ-23-23/164 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების გამოცხადების მიზნით. ზეპირი მოსმენის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 4 ივლისი, ხოლო გადაწყვეტილების მიღების თარიღად კანონმდებლობით დადგენილი ვადა.

საკითხის ზეპირი მოსმენა გაიმართა კომისიის 2023 წლის 4 ივლისის სხდომაზე. სხდომას ესწრებოდნენ შპს „მაგთიკომის“, შპს „სელფი მობაილის“ და სს „სილქნეტის“ წარმომადგენლები.

საჯარო კონსულტაციების პროცესში და კომისიის 2023 წლის 4 ივლისის ზეპირი მოსმენის სხდომაზე დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი პოზიციების გათვალისწინებით, იმისათვის, რათა ქვეყანაში დროულად მოხდეს 5G ქსელის დანერგვა და განვითარება, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია გაითვალისწინოს დაინტერესებული პირების ცალკეული მოსაზრებები, კერძოდ კი კომისიას მიზანშეწონილად მიჩნია რომ 1 (ერთი) კომბინირებული ლოტი აუქციონზე გამოიტანოს ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული, მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების საბითუმო დაშვების ვალდებულების გარეშე, იმ პირობით, რომ მასზე არ გავრცელდება ამ ვალდებულების სანაცვლოდ გათვალისწინებული 20%-იანი ფასდაკლება. კომისიას მიაჩნია, რომ ამგვარი შეთავაზება ერთის მხრივ, გააჩენს უფრო ფართო არჩევანის შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ უფრო მიმზიდველს გახდის დაინტერესებული პირებისთვის აუქციონში მონაწილეობას, მეორეს მხრივ კი უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტში მეტი თანხის შემოდინებას იმის გათვალისწინებით, რომ ასეთ ლოტზე აღარ გავრცელდება 20%-იანი შეღავათი. კომისიას ასევე მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტა არ შეაფერხებს 5G ქსელის განვითარებას, რამდენადაც, გარდა იმისა, რომ ამ გადაწყვეტის შედეგად მოსალოდნელია აუქციონში მონაწილეობის ინტერესის ზრდა, ასევე აუქციონის ფარგლებში შეთავაზებულია სხვა ლოტები, რომელთაც გააჩნიათ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის საბითუმო დაშვების ვალდებულება.

კომისიას ასევე მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ იმ პირს, რომელიც შეიძენს კომბინირებულ ლოტს მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის საბითუმო დაშვების ვალდებულების გარეშე, შესაძლებლობა მიეცეს, რომ №7 და №8 აუქციონებიდან ერთ-ერთში გამარჯვების შემთხვევაში, მოითხოვოს ამ აუქციონის ფარგლებში შეძენილ სიხშირეზე არ გავრცელდეს მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის საბითუმო დაშვების ვალდებულება, თუ აღნიშნული ვალდებულების მოხსნის სანაცვლოდ სიხშირული რესურსის შეძენი ოპერატორი დამატებით გადაიხდის სიხშირული რესურსის საწყისი ღირებულების 20%-ს.

საჯარო კონსულტაციებისა და ზეპირი მოსმენის სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით კომისიას ასევე მიზანშეწონილად მიაჩნია დაკორექტირდეს კომბინირებული ლოტებზე გაცემული ლიცენზიის გაუქმებიდან წარმოშობილი თანმდევნი შედეგების მოწესრიგება იმგვარად, რომ ამ შემთხვევაშიც უზრუნველყოფილი იყოს ერთის მხრივ ლიცენზიის მფლობელის არჩევანი და მეორეს მხრივ არ დაზიანდეს საჯარო ინტერესი. ვინაიდან ცალკემდგომ ლოტებზე არ ვრცელდება დაფარვის ვალდებულებები და მათი შეძენის წინაპირობას წარმოადგენს კომბინირებული ლოტების შეძენა, აქედან გამომდინარე კომბინირებულ ლოტებზე გაცემული ლიცენზიის/ლიცენზიების გაუქმება გამოიწვევს აღნიშნული ლიცენზიის/ლიცენზიების

მფლობელი კომპანიის სარგებლობაში არსებულ ცალკემდგომ ლოტებზე გაცემული ლიცენზიის/ლიცენზიების გაუქმებას; ასევე 2600 მჰც FDD და TDD სიხშირულ ზოლში გაცემული ლიცენზიის/ლიცენზიების გაუქმება რომლის სიხშირული რესურსიც მდებარეობს ლიცენზიის/ლიცენზიების მფლობელი კომპანიის სარგებლობაში არსებულ 2600 მჰც TDD სიხშირულ ზოლში ორ ცალკემდგომ კონკრეტულ ლოტზე გაცემული ლიცენზიის/ლიცენზიების მომიჯნავედ გამოიწვევს აღნიშნული ლიცენზიის/ლიცენზიების მფლობელი კომპანიის სარგებლობაში არსებულ 2600 მჰც TDD სიხშირულ ზოლში ორ ცალკემდგომ კონკრეტულ ლოტზე გაცემული ლიცენზიის/ლიცენზიების გაუქმებას. ამასთან ლიცენზიის მფლობელს ექნება უფლება, რომ მისი მოთხოვნის შემთხვევაში, შეინარჩუნოს ცალკე მდგომ ლოტზე გაცემული ლიცენზია, თუ კომბინირებულ ლოტზე გაცემული გაუქმებული ლიცენზიით გათვალისწინებული ვალდებულებები გადმოვა ცალკე მდგომ ლოტზე გაცემული ლიცენზიაში და მოხდება ლიცენზიის მოდიფიცირება.

კომისიამ ასევე გაითვალისწინა დაინტერესებული პირების სხვა კომენტარებიც, რომელიც დეტალურად ასახულია კომენტარების განხილვის ცხრილში და წინამდებარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში.

კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომაზე ზეპირი მოსმენა დასრულებულად ჩაითვალა და საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების თარიღად ზეპირი მოსმენის ჩატარებიდან 2 სამუშაო დღე - 2023 წლის 6 ივლისი დასახელდა.

კომისიის 2023 წლის 6 ივლისის სხდომას ესწრებოდნენ შპს „მაგთიკომის“, შპს „სელფი მობაილის“ და სს „სილქნეტის“ წარმომადგენლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VII და IX თავების, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 47<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტის, 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 52-ე მუხლის, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის, „ლიცენზიებისა და ნებართვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დებულების“, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო კონსულტაციების მარეგულირებელი წესების“ მე-4 - მე-7 მუხლების თანახმად კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად,

## **გადაწყვიტა:**

1. გამოცხადდეს №1 (პაკეტი/კომბინირებული) აუქციონი მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად, შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 10 მჰც (2X5 მჰც) სიხშირული რესურსი, Uplink 703–733 მჰც და Downlink 758–788 მჰც რესურსის ფარგლებში; 50 მჰც სიხშირული რესურსი 3400–3700 მჰც რესურსის ფარგლებში;

*შენიშვნა: 2X5 მჰც სიხშირული ბლოკის შესაბამისი კონკრეტული სიხშირული რესურსი (703–733მჰც და 758–788 მჰც სიხშირული რესურსიდან) და 50 მჰც სიხშირული ბლოკის შესაბამისი კონკრეტული სიხშირული რესურსი (3400–3700 მჰც სიხშირული რესურსიდან) განისაზღვრება აუქციონების შედეგების გათვალისწინებით, ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით.*

ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: ლიცენზიის გაცემიდან 15 წელი;

დ) ტექნიკური პირობები: **იხ. დანართი 1**

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ე.ა) პრაქტიკული საქმიანობა დაიწყოს ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 6 თვეში. (პრაქტიკული საქმიანობის დაწყებად ითვლება ერთი ან მეტი საბაზო სადგურის ამოქმედება ლიცენზიით გაცემული რადიოსიხშირული დიაპაზონების ფარგლებში და მომსახურების მიწოდება ერთი ან მეტი კომერციული აბონენტისათვის);

ე.ბ) უზრუნველყოს რადიოსიხშირული რესურსის წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად გამოყენება; 700 და 3400-3700 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში გაცემული ლიცენზიების განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში აგებული ქსელები უნდა აკმაყოფილებდეს 5G მომსახურებების მოთხოვნებს, როგორც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 იანვრის №60 განკარგულებით დამტკიცებულ „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიასა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმაში“. ქსელის შესაბამისი ფუნქციონალური კომპონენტები უნდა იყოს აგებული და დროის ნებისმიერ მომენტში ფუნქციონირებდეს მხოლოდ იმ ტექნიკური გადაწყვეტების საფუძველზე, რომლებიც ქსელის აგების არქიტექტურის გათვალისწინებით აკმაყოფილებს ITU-R M.2083 და ITU-R M.2410-0 ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს მომსახურებების მიმართ ან აკმაყოფილებს ITU-ს მიერ ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს შემდეგი თაობის IMT ტექნოლოგიების მიმართ. ქსელის აგებისას და ფუნქციონირებისას ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული მხოლოდ ის (ტექნიკური) გადაწყვეტები, რომლებსაც აქვს საშუალება ჰქონდეს არანაკლებ 100 მჰც (3400 -3700 მჰც დიაპაზონისთვის) და არანაკლებ 30 მჰც-მდე სიგანის მზიდი სიხშირის ზოლი აგრეგაციის გარეშე (700 და 2600 დიაპაზონებისთვის).

ე.გ) უზრუნველყოს მობილურ/უსადენო ფართოზოლოვან მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 იანვრის №60 განკარგულებით დამტკიცებულ „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად განსაზღვრულ დასახლებულ პუნქტებში და ტურისტულ ზონებში განლაგებულ დასახლებულ პუნქტებში შემდეგი გრაფიკით (მომსახურებით დასაფარი ტერიტორია გეოგრაფიული (SHP) ფაილების სახით თან ერთვის. *იხ. დანართი 4*):

დაფარვის თარიღი/ვადა ლიცენზიის მიღებიდან	დასაფარი ტერიტორია:	მინიმალური სიჩქარე (მბ/წმ)
2025 წელი	სამი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი ( 10,000 – 15,000 და 15,000 – 100,000 მოსახლეობის დასახლებული პუნქტებიდან არჩეული ნებისმიერი მუნიციპალიტეტის ცენტრი) ტერიტორიის მინიმუმ 90%	30 მბ/წმ
4 წელი	გუდაურის და ქ. ქობულეთის საკურორტო ზონა - ტერიტორიის მინიმუმ 90%	
5 წელი	თელავის მუნიციპალიტეტი: ქ. თელავი, ს. წინანდალი; ყვარლის მუნიციპალიტეტი: ქ. ყვარელი; სიღნაღის მუნიციპალიტეტი: ქ. სიღნაღი; ბაღდათის მუნიციპალიტეტი: კურორტი საირმე; დუშეთის მუნიციპალიტეტი: ს. შატლი; მესტიის მუნიციპალიტეტი: დაბა მესტია; ყაზბეგის მუნიციპალიტეტი: დაბა სტეფანწმინდა; ამბროლაურის მუნიციპალიტეტი: ქ. ამბროლაური; გურჯაანის მუნიციპალიტეტი: ქ. გურჯაანი; ონის მუნიციპალიტეტი: ქ. ონი, კურორტი შოვი; ბორჯომის მუნიციპალიტეტი: დაბა ბაკურიანი, ქ. ბორჯომი, კურორტი ლიკანი; ასპინძის მუნიციპალიტეტი : ვარძია; ახმეტის მუნიციპალიტეტი: ს. ომალო და ს. შენაქო; შავი ზღვის სანაპირო ზოლი: სარფიდან-ფოთის ჩათვლით. ტერიტორიის მინიმუმ 90%	

5 წელი	წყნეთი, ბეთანია, კიკეთი, კოჯორი, ტაბახმელა, შინდისი, წავკისი, ოქროყანა, ნაფეტვრები, მუხათწყარო, მცხეთა, საგურამო - ტერიტორიის მინიმუმ 90%	
--------	---	--

**შენიშვნა:** დაფარვის ვალდებულების შესრულების ვადა განისაზღვრება ლიცენზიის მიღებიდან შესაბამისი წლის 31 დეკემბრამდე პერიოდით; დაფარვის ვალდებულებების შემოწმება მოხდება თანდართული „მომსახურების ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგიით“ (იხ. დანართი 2);

გეოგრაფიული და ინფრასტრუქტურული სირთულეების გათვალისწინებით ს. შატილის, ს. ომალოს და ს. შენაქოს დაფარვის ვალდებულების ათვლა მოხდება ლიცენზიის მფლობელის ან მე-3 პირის მიერ კავშირის ისეთი ტექნიკური სისტემის შექმნიდან, რომელიც უზრუნველყოფს ქსელის აგების მიმართ ITU-R M.2083 და ITU-R M.2410-0 ან მომავალი თაობის IMT ქსელების მიმართ რეკომენდაციების შესრულების და დაფარვის ვალდებულებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში.

ე.დ) უზრუნველყოს მობილურ/უსადენო ფართოზოლოვან მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოს დასახლებული პუნქტებისათვის, ოკუპირებული ტერიტორიების გარდა, შემდეგი გრაფიკით (მომსახურებით დასაფარი ტერიტორია გეოგრაფიული (.SHP) ფაილების სახით თან ერთვის, იხ. დანართი 4):

დაფარვის ვადა ლიცენზიის მიღებიდან	მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტების (მოსახლეობის რაოდენობა $\geq 100\ 000$ ) ტერიტორიის მინიმუმ:	მინიმალური სიჩქარე (მბ/წმ)
4 წელი	90%-ში	30 მბ/წმ

დაფარვის ვადა ლიცენზიის მიღებიდან	მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტების (მოსახლეობის რაოდენობა $\geq 15\ 000$ და $\leq 100\ 000$ ) ტერიტორიის მინიმუმ:	მინიმალური სიჩქარე (მბ/წმ)
5 წელი	75%-ში	30 მბ/წმ
7 წელი	90%-ში	

დაფარვის ვადა ლიცენზიის მიღებიდან	მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტების (მოსახლეობის რაოდენობა $\geq 10\ 000$ და $\leq 15\ 000$ ) ტერიტორიის მინიმუმ:	მინიმალური სიჩქარე (მბ/წმ)
5 წელი	50%-ში	30 მბ/წმ
7 წელი	75%-ში	

**შენიშვნა:** დასახლებული პუნქტების სია თან ერთვის (იხ. დანართი 3). დაფარვის ვალდებულების შესრულების ვადა განისაზღვრება ლიცენზიის მიღებიდან შესაბამისი წლის 31 დეკემბრამდე პერიოდით; დაფარვის ვალდებულებების შემოწმება მოხდება თანდართული „მომსახურების ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგიით“ (იხ. დანართი 2);

ე.ე) უზრუნველყოს შემდეგი ობიექტების დაფარვა (მომსახურებით დასაფარი ტერიტორია გეოგრაფიული (.SHP) ფაილების სახით თან ერთვის, იხ. დანართი 4):

დაფარვის ვადა ლიცენზიის მიღებიდან	სერვისით უზრუნველყოფილი პუნქტი(ებ)	მინიმალური სიჩქარე (მბ/წმ)
5 წელი	ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტი (შენობა-ნაგებობის შიგნით და მიმდებარე ტერიტორიაზე); ქ. ქუთაისის აეროპორტი (კოპიტნარის) (შენობა-ნაგებობის შიგნით და მიმდებარე ტერიტორიაზე); ქ. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი (შენობა-ნაგებობის შიგნით და მიმდებარე ტერიტორიაზე);	30 მბ/წმ

	<p>ქ. ბათუმის საზღვაო პორტი (შენობა-ნაგებობის შიგნით და მიმდებარე ტერიტორიაზე);</p> <p>ქ. ფოთის საზღვაო პორტი (შენობა-ნაგებობის შიგნით და მიმდებარე ტერიტორიაზე);</p> <p><b>ტერიტორიის მინიმუმ 90%</b></p>	
--	--	--

**შენიშვნა:** დაფარვის ვალდებულების შესრულების ვადა განისაზღვრება ლიცენზიის მიღებიდან შესაბამისი წლის 31 დეკემბრამდე პერიოდით; დაფარვის ვალდებულებების შემოწმება მოხდება თანდართული „მომსახურების ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგიით“ (იხ. დანართი 2); საზღვაო პორტების მხრიდან ლიცენზიის მფლობელი კომპანიის მიმართ 5G ქსელის და მომსახურების დანერგვის პროცესში დაუძლეველი დაბრკოლებების და ხელშემშლელი პირობების შექმნის შემთხვევაში, კომისია იმსჯელებს შესაბამისი დაფარვის ვალდებულების გადახედვაზე ლიცენზიის მფლობელის მომართვის საფუძველზე;

ე.ვ) უზრუნველყოს ქვემოთ ჩამოთვლილი საქართველოს საავტომობილო გზების მანძილის  $\geq 90\%$  დაფარვა, სიჩქარის ვალდებულება მოქმედებს როგორც სტაციონარული/გაჩერებულ მდგომარეობაში, ასევე მოძრაობისას გზის გასწვრივ (მოძრაობის ზოლისა და მიმართულების მიუხედავად, სამგზავრო ავტოტრანსპორტისათვის დასაშვები მაქსიმალური სიჩქარის ფარგლებში), (მომსახურებით დასაფარი ტერიტორია გეოგრაფიული (SHP) ფაილების სახით თან ერთვის, იხ. დანართი 4):

დაფარვის ვადა ლიცენზიის მიღებიდან	დასაფარი მარშრუტები	მინიმალური სიჩქარე (მბ/წმ),
7 წელი	<p>თბილისი-საგარეჯო-ლაგოდეხი;</p> <p>თბილისი-მარნეული-სადახლო;</p> <p>თბილისი-რუსთავი-წითელი ხიდი;</p> <p>თბილისი-გუდაური-სტეფანწმინდა;</p> <p>სამტრედია-სენაკი;</p> <p>სენაკი-ზუგდიდი;</p> <p>სენაკი-ფოთი;</p> <p>ფოთი-გრიგოლეთი;</p> <p>თბილისი-სარფი;</p> <p>ხაშური-ახალციხე-ვალე;</p> <p>თერჯოლა-ტყიბული;</p> <p>ტყიბული-ამბროლაური;</p> <p>ამბროლაური-ონი-შოვი;</p> <p>ქუთაისი-ბაღდათი-საირმე;</p> <p>ჟინვალი-კორშა;</p> <p>ჟინვალი - შატილი საავტომობილო გზის გასწვრივ მდებარე სოფლები: გუდანი, ბისო, ხახმატი.</p> <p><b>თითოეული მონაკვეთის სიგრძის მინიმუმ 90%</b></p>	10 მბ/წმ

**შენიშვნა:** დაფარვის ვალდებულების შესრულების ვადა განისაზღვრება ლიცენზიის მიღებიდან შესაბამისი წლის 31 დეკემბრამდე პერიოდით; დაფარვის ვალდებულებების შემოწმება მოხდება თანდართული „მომსახურების ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგიით“ (იხ. დანართი 2);

ე.ზ) უზრუნველყოს მობილურ/უსადენო ფართოზოლოვან მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოს რკინიგზის ქვემოთ ჩამოთვლილი მონაკვეთების გასწვრივ მანძილის  $\geq 90\%$  იმგვარად, რომ გაზომვების შედეგად მიღებული მინიმალური საშუალო სიჩქარე შეადგენდეს  $\geq 10$  მბ/წმ-ს; (ვალდებულების შემოწმება განხორციელდება ავტომობილის შიგნით რკინიგზის გასწვრივ ლიანდაგიდან არაუმეტეს 500 მეტრის დაშორებით ). (მომსახურებით დასაფარი ტერიტორია გეოგრაფიული (SHP) ფაილების სახით თან ერთვის, იხ. დანართი 4):

დაფარვის ვადა ლიცენზიის მიღებიდან	დასაფარი მონაკვეთები	მინიმალური სიჩქარე (მბ/წმ),
7 წელი	თბილისი-ბათუმი;	

	თბილისი-სადახლო; თბილისი-გარდაბანი; სამტრედია-ფოთი სენაკი-ზუგდიდი <b>თითოეული მონაკვეთის სიგრძის მინიმუმ 90%</b>	10 მზ/წმ
--	--	----------

**შენიშვნა:** დაფარვის ვალდებულების შესრულების ვადა განისაზღვრება ლიცენზიის მიღებიდან შესაბამისი წლის 31 დეკემბრამდე პერიოდით; დაფარვის ვალდებულებების შემოწმება მოხდება თანდართული „მომსახურების ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგიით“ (იხ. დანართი 2); სს საქართველოს რკინიგზის მხრიდან ლიცენზიის მფლობელი კომპანიის მიმართ 5G ქსელის და მომსახურების დანერგვის პროცესში დაუძლეველი დაბრკოლებების და ხელშემშლელი პირობების შექმნის შემთხვევაში, კომისია იმსჯელებს შესაბამისი დაფარვის ვალდებულების გადახედვაზე ლიცენზიის მფლობელის მომართვის საფუძველზე;

ე.თ) საერთაშორისო კოორდინაციის პროცესის სრულფასოვანი წარმართვის მიზნით, რომელიც ხორციელდება ECC Recommendation (15)01-ის შესაბამისად, მიაწოდოს კომისიას დეტალური ინფორმაცია იმ სადგურების/გადამცემების შესახებ, რომელთა განთავსება და ექსპლუატაცია განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრიდან 30 კმ-ზე ნაკლებ მანძილზე;

ე.ი) რეგულარულად, წელიწადში მინიმუმ ორჯერ, წარმოადგინოს ანგარიში ლიცენზიის პირობებით განსაზღვრული მობილური უსადენო დაშვების ქსელის განვითარების შესახებ, რომელიც უნდა იყოს საჯარო და ქვეყნდებოდეს კომპანიის ვებ-გვერდზე ტექსტური და გრაფიკული, კერძოდ გეოგრაფიულ რუკზე დატანილი, სახით კომისიის მოთხოვნილი სიზუსტის და პარამეტრების გათვალისწინებით. ოპერატორის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მინიმუმ:

- მომსახურებით დაფარვის ზონის, რომელიც გამოქვეყნების მომენტისთვის აკმაყოფილებს ვალდებულებით განსაზღვრულ ხარისხს (.SHP ფაილის ფორმატში);
- დასახლებული პუნქტების ჩამონათვალს, სადაც ლიცენზიით განსაზღვრული მომსახურება აკმაყოფილებს ვალდებულებით განსაზღვრულ ხარისხს (ტექსტურ ფორმატში);

გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტის კონტროლის მიზნით კომისია იტოვებს უფლებას აწარმოოს მომსახურებით დაფარვის ზონის(ების) რეგულარული მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს ინფორმაციის დაზუსტება ლიცენზიის მფლობელისგან.

ლიცენზიის მფლობელის მიერ მომსახურების დანერგვის პროცესში, კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს დეტალური ინფორმაცია ექსპლუატაციაში უკვე გაშვებული სადგურების შესახებ.

კომისიას, ასევე, შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია მშენებარე და დაგეგმილი საბაზო სადგურების ადგილმდებარეობის და ტექნიკური პარამეტრების შესახებ და მოდელირებით მიღებული ელექტრომაგნიტური ველით დაფარვის დეტალური რუკა გეოგრაფიული (.SHP) ფაილის ფორმატში, დაფარვის ვალდებულების შესრულების მიზნით გამოყენებული ყველა სიხშირისთვის. კომისია არ გაასაჯაროებს აღნიშნულ რუკას და ინფორმაციას მშენებარე და დაგეგმილი სადგურების შესახებ;

ე.ლ) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესაბამისი პირობების დადგომისთანავე, კომისია უფლებამოსილი იქნება დამატებითი ვადა და პირობები განუსაზღვროს ლიცენზიის მფლობელს დაფარვის ვალდებულების შესასრულებლად;

ვ) ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს დააკმაყოფილოს მომსახურების დაფარვის და ხარისხის ვალდებულებები როგორც წინამდებარე აუქციონით მოპოვებული 700 ან 3400-3700 მჰც სიხშირული ზოლებით ასევე მათი სიხშირული აგრეგირებით მის მფლობელობაში არსებული სხვა სიხშირულ რესურსთან, მომსახურების ყოველი ინდივიდუალური მომხმარებლისთვის მიწოდებისას;

ზ) იმისთვის, რომ მოცემული ვადისთვის მომსახურებით დაფარვის ვალდებულება ჩაითვალოს შესრულებულად, მოთხოვნილი ხარისხის მომსახურება უნდა იყოს უზრუნველყოფილი მოცემული ვადით განსაზღვრულ მომსახურებით დაფარვის ყველა ზონისთვის. მოცემული ვალდებულებები ძალაშია ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე;

2. გამოცხადდეს №2 (პაკეტი/კომბინირებული) აუქციონი მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად, შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 10 მჰც (2X5 მჰც) სიხშირული რესურსი, Uplink 703–733 მჰც და Downlink 758–788 მჰც რესურსის ფარგლებში; 50 მჰც სიხშირული რესურსი 3400-3700 მჰც რესურსის ფარგლებში;

*შენიშვნა: 2X5 მჰც სიხშირული ბლოკის შესაბამისი კონკრეტული სიხშირული რესურსი (703–733მჰც და 758–788 მჰც სიხშირული რესურსიდან) და 50 მჰც სიხშირული ბლოკის შესაბამისი კონკრეტული სიხშირული რესურსი (3400-3700 მჰც სიხშირული რესურსიდან) განისაზღვრება აუქციონების შედეგების გათვალისწინებით, ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით.*

ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: ლიცენზიის გაცემიდან 15 წელი;

დ) ტექნიკური პირობები: **იხ. დანართი 1**

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ე.ა) პრაქტიკული საქმიანობა დაიწყოს ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 6 თვეში. (პრაქტიკული საქმიანობის დაწყებად ითვლება ერთი ან მეტი საბაზო სადგურის ამოქმედება ლიცენზიით გაცემული რადიოსიხშირული დიაპაზონების ფარგლებში და მომსახურების მიწოდება ერთი ან მეტი კომერციული აბონენტისათვის);

ე.ბ) უზრუნველყოს რადიოსიხშირული რესურსის წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად გამოყენება; 700 და 3400-3700 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში გაცემული ლიცენზიების განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში აგებული ქსელები უნდა აკმაყოფილებდეს 5G მომსახურებების მოთხოვნებს, როგორც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 იანვრის №60 განკარგულებით დამტკიცებულ „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიასა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმაში“. ქსელის შესაბამისი ფუნქციონალური კომპონენტები უნდა იყოს აგებული და დროის ნებისმიერ მომენტში ფუნქციონირებდეს მხოლოდ იმ ტექნიკური გადაწყვეტების საფუძველზე, რომლებიც ქსელის აგების არქიტექტურის გათვალისწინებით აკმაყოფილებს ITU-R M.2083 და ITU-R M.2410-0 ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს მომსახურებების მიმართ ან აკმაყოფილებს ITU-ს მიერ ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს შემდეგი თაობის IMT ტექნოლოგიების მიმართ. ქსელის აგებისას და ფუნქციონირებისას ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული მხოლოდ ის (ტექნიკური) გადაწყვეტები, რომლებსაც აქვს საშუალება ჰქონდეს არანაკლებ 100 მჰც (3400 -3700 მჰც დიაპაზონისთვის) და არანაკლებ 30 მჰც-მდე სიგანის მზიდი სიხშირის ზოლი აგრეგაციის გარეშე (700 და 2600 დიაპაზონებისთვის).

